COMUS

სექტემბერი 2016 /GE

ახალი ამბები

თემების მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS)

არსებული მდგომარეობა:

ჭიათურა (GE)
საპროექტო ეტაპი დაწყებულია – ხედვა და პრიორიტეტული ქმედებები შერჩეულია

დუშეთი (GE)
საპროექტო ეტაპი დაწყებულია – ხედვა და პრიორიტეტული ქმედებები შერჩეულია

გორისი (AM)
საპროექტო ეტაპი დაწყებულია – ხედვა და პრიორიტეტული ქმედებები

შერჩეულია გიუმრი (AM)
საპროექტო ეტაპი დაწყებულია – ხედვა და პრიორიტეტული ქმედებები შერჩეულია

ლუცკი (UA)
საპროექტო ეტაპი დაწყებულია – ხედვა და პრიორიტეტული ქმედებები შერჩეულია

მსტისლავი (BY)
დაგეგმვის ეტაპი - მიმდინარეობს

პრილიუკი (UA)
საპროექტო ეტაპი დაწყებულია – ხედვა და პრიორიტეტული ქმედებები შერჩეულია

სოროკა (MD)
საპროექტო ეტაპი დაწყებულია – ხედვა და პრიორიტეტული ქმედებები შერჩეულია

ჟოვკა (UA)
საპროექტო ეტაპი დაწყებულია – ხედვა და პრიორიტეტული ქმედებები შერჩეულია

მთავარი თემები:

COMUS-ის საპროექტო ეტაპი დაიწყო 2016 წლის ივნისში. ეს ეტაპი მოიცავს 4 ნაბიჯს: პრიორიტეტული ქმედებების შერჩევა, წინასწარი ტექნიკური დოკუმენტების შედგენა, ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლა. დასკვნების გამოტანა და შემდგომი ეტაპის დაგეგმვა. ამ ეტაპის განმავლობაში, საბაზო გეგმის შესაბამისად, მოხდება შერჩეული ძეგლების, შენობების ან ტერიტორიების წინასწარი შესწავლა მათი რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის განსაზღვრის მიზნით. 2017 წელს, კონსოლიდაციის ეტაპზე მოხდება აღნიშნული

ბამბერგი (გერმანია) 25-26 ივლისი 2016

COMUS-ის პირველი სასწავლო ვიზიტი განხორციელდა ბამბერგში (გერმანია) 25-26 ივლისს. ვიზიტი მომზადდა მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ორგანიზაციის რეგიონულ სამდივნოსთან და ბამბერგის მსოფლიო მემკვიდრეობის კოორდინაციის ჯგუფთან თანამშრომლობით. ვიზიტი ეხებოდა მემკვიდრეობის დაგეგმვას და მისი მართვის პრაქტიკებს ბამბერგში.

COMUS-ის მესამე რეგიონული შეხვედრა ურბანული დაგეგმარების თემაზე გაიმართა უკრაინაში (კიევი-პრილიუკი, 4-6 ივლისი). შეხვედრას დაესწრო 9 საპილოტე ქალაქის 22 წარმომადგენელი. რადგანაც ეს შეხვედრა ასევე დაემთხვა **COMUS**-ის საპროექტო ეტაპის დასაწყისს, სამუშაო ფორმატში ასევე განხილულ იქნა საკითხები, როგორიცაა მემკვიდრეობა, როგორც რესურსი და როგორც პასუხისმგებლობა, მემკვიდრეობა და ურბანული დაგეგმარება უკრაინაში, თემის ჩართულობის საკითხი. შეხვედრა დასრულდა სასწავლო ვიზიტით ქალაქ პრილიუკის ისტორიულ ცენტრში.

ხილვადობა

პროექტის ბროშურები და ფილმები თვითეული ქალაქისათვის მომზადდება წლის ბოლომდე. ისინი წარმოაჩენს შერჩეულ პრიორიტეტულ ქმედებებს. კონკრეტულად კი - შერჩეულ ტერიტორიებს ან ძეგლებს. ფილმი მიზნად ისახავს ქალაქის ისტორიული არეალის, მისი სამომავლო ხედვის და პროექტის თანამონაწილეობითი ხასიათის წარმოჩენას. ბროშურები და ფილმები არსებითი ინსტრუმენტია შერჩეული ტერიტორიების პოპულარიზაციისათვის. ეროვნულ კოორდინატორებს ევალებათ სამუშაო მასალების (ტექსტები და სცენარები) მიწოდება ევროპის საბჭოს სამდივნოსათვის.

ვითარდება **COMUS-ის ვებგვერდი**. ივნისიდან, პერიოდულად ახლდება ახალი ამბების განყოფილება. მომზადდა საფოსტო ბარათები საპილოტე ქალაქებისთვის (3 მომზადდა, 2 მიმდინარეა). ეროვნული კოორდინატორებს ვთხოვთ განაგრძონ კომუნიკაცია პროექტის პროგრესის შესახებ და მიაწოდონ სამდივნოს საფოსტო ბარათები სექტემბრის ბოლოსთვის.

პროექტის ვებგვერდზე განთავსდა Facebook და ადგილობრივი მედიასაშუალებების სივრცე.

შემდეგი ნაბიჯები:

ბელარუსია
წამყვანი ექსპერტის სამუშაო ვიზიტი

22-23 სექტემბერი 2016, სომხეთი
მეოთხე რეგიონული შეხვედრა მემკვიდრეობის მართვის საკითხებზე

24-25 ოქტომბერი 2016, ზალცბურგი (გერმანია)
მეორე სასწავლო ვიზიტი კომერციულ და ბიზნეს აქტივობებზე ისტორიულ ქალაქებში

ოქტომბრის ბოლო კვირა 2016, უკრაინა

კვლევა

ოქტომბერი 2016
ვორქშოპი ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის შესახებ თვითეულ ქვეყანაში

5-25 ნოემბერი 2016
ევროკავშირის მონიტორინგის მისია

6 December 2016, თბილისი (საქართველო)
პროექტის მართვის კომიტეტის შეხვედრა

6-8 December 2016, თბილისი/დუშეთი (საქართველო)
მეხუთე რეგონული შეხვედრა – მერების აკადემია

მესამე სამუშაო შეხვედრა ურბანულ დაგეგმარებაზე (კიევი-პრილიუკი, 4-6 ივლისი2016)

კონსოლიდაციის ეტაპის შინაარსი

სამდივნო მუშაობს პროექტის კონსოლიდაციის ეტაპის შინაარსის მომზადებაზე. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს პროექტის გამოცდილების შეჯამება და რეკომენდაციების მომზადება ეროვნული პოლიტიკებისა და სტრატეგიებისთვის.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს:

✓ **www.coe.int/comus**